

၉၈၈၅၅၅

რეზო ქვიციანი

მუსიკა ქარში

დიდგენის
ბიბლიოთეკა

რეზო ჭეიშვილი
მუსიკა ქარში

გარეკანზე: ჰენრი სკოტ ტუკის „მობანავე ბიჭი“.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2023
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-837-1

[www. diogene. ge](http://www.diogene.ge)

სარჩევი

მუსიკა ქარში.....	9
ფაფანაკიანი ბიჭი.....	11
სადღაც მუსიკას უკრავენ	14
სახიფათო ეზო	16
ლანდები ჭაში.....	20
მოსაკალავი თუ რამე გაქვთ	23
ყველაზე მაღალი კაცი	29
ესეც ჩემი სკოლა	34
ზამთარი. ყინული. ქალბატონი მანანა.....	36
რამ შექმნა ეს ყველაფერი.....	39
მთავარი მაინც გადახურვა	42
დურგალი ილია	46
ახალ სახლში გადავედით	50
ფოქსტროტი.....	53
მურია მოვკალით	56
ვიღას ყარაულობდა ის ჩემი ცოდვით სავსე, მიტროფანე	60
მღებავი მოვიდა	65
ცეცხლი.....	68
შენ მაინც დარჩი, შე კაი კაცო.....	71
ნისქვილის სათავეში წვერა დავიჭირე.....	74
ოსტატი გრიგოლი	77
მდინარეები უკან აღარ ბრუნდებიან	80
ძვერელი ძმები	82
მელანო ჩიქვანი.....	87
პასტერის სადგური	89
სუფოროვი	93
ვინ იყო ის კაცი	97
ხატვის მასწავლებელი.....	101
ფერელე.....	105
მეტეხს გაუფრთხილდი, ყოვლის შემძლებლო.....	113
ჭურვი.....	118
ლურჯი ფრინველი	122
ავთანდილი.....	125

რკინის წყალი.....	131
ჯარისკაცი მოკვდა.....	135
მე ტყვედ ვარ წამოყვანილი	137
ხუთიანი მივიღე	141
ტახტ-ნავი	145
ირიბული	151
სიმონის განაწყენებული კაცი თუ გინახავთ.....	155
ბუჭა, შე ძველო.....	158
საველე პატარა კაცი იყო.....	163
ბაზარი. მეჭოკე. მეთუნე და სხვა.....	166
ბლის ხეზე გავედი.....	170
ქუდი მიყიდეს.....	173
ჩემი ძმა დაიკარგა.....	176
ოხ, ეს ქუდი	180
სურათებიანი წიგნი	183
ინდიგო, ძმავო, ინდიგო	187
შალიკიანი.....	192
საპნის საამქრო და ბატონი დანიელი	197
მალაზიის კაპიტანი.....	201
ლექებმა რო დამიჭირეს	207
ივლიანე.....	211
ფსევდო-ივლიანე.....	215
ივლიანე III	221
ტასია.....	228
ბერბუთაშვილის ქალი, მაიკო.....	233
კაჟის ქვები	237
წითური ელქაჯი.....	245
თეთრი თიკანი.....	249
გიგანტური კარავი	253
ვინ მოიტანა წიგნები, ერმილე.....	257
პროფილი	263
ბარაბაძე და ბეჟუაძე	267
ნესტორი და ომარი კიბის მოხელეები იყვნენ.....	273
ბუნებისმეტყველების მასწავლებელი კალინიკე სიმსივე.....	281
ნატალია მესერაძე.....	287
ივლიანე IV.....	291

ატრაქციონი	296
უშანგი დაბრუნდა	300
მიხო ჭომელი.....	304
მაისი	309
ომი დამთავრდა.....	312
შოთა ბოთე	316
როგორ მოკლეს მეფაიტონე ჟორა გვალია.....	320
ბიძია	326
ანატოლი ოდიშალია	330
მეელექტრონე გედია	335
ბიძინამ რომ ბოთლი გატეხა	340
თავი გამიტეხეს.....	344
მურია დაიკარგა.....	348
ლექსიც დავენერე.....	355
ინჟინერი მარლენი	359
ივლიანე VI.....	365
ბელატი	372
ბერლინ-სამტრედია	382
დიტიკო ბასილაძე	388
გალელი ქალი.....	395
მზე, სითბო და ჩრდილი უნდოდა ვასოს	399
არსენი.....	405
ლარისა და მებუხრე.....	409
დომენტია მოიტანეს.....	416
ბუდეუ ვარ ობოლი	422
სად არის გეგელიძე.....	430
ორი აკრობატი	435
გზა და მატარებელი.....	439
მხატვარი იაშა.....	445
სექტემბერი	449
მეხავსე ბოდოკიძე.....	456
ხე-ყვავილა	463
ადმირალი.....	469

მუსიკა ქარში

უქარო, თბილი დღე იყო. სიჩუმე იდგა. შემოდგომის მზე ჩაბუდებულიყო გადაყვითლებულ ფოთლებში. სადღაც შორიდან, თითქოს არაფრიდან, მამლების ყვილი ისმოდა.

ვიჯექი ეზოში, სახლის წინ, თბილ მინაზე, ხმელ ნეშოში. ჩემი შვილი აგროვებდა კაჟის ფერად ნატეხებს. აგროვებდა ისე, როგორც მე – ძალიან დიდი ხნის წინათ, ამავე ეზოში. მხოლოდ სახლი მაშინ არ იდგა. სახლი შენდებოდა. იკირებოდა ბალავარი, იფსკვნებოდა საძირკველი.

ჩემმა შვილმა რალაცას მიაყურადა, წამით გაირინდა და მითხრა: ყველაფერი ეს, რასაც ვხედავ, რაც მესმის, თითქოს ნამდვილი არ არის, თითქოს ერთხელ უკვე იყო.

...მართლაც, იყო თუ არა ეს ყველაფერი ერთხელ და ნამდვილად?

მაშინაც ისეთი უქარო, უცნაურად წყნარი და თბილი დღე იდგა. თითქოს იმ დღესაც ძილად იყო სამყარო მიგდებული. არაფრიდან ისმოდა მამლების შორეული ყვილი. გადაყვითლებულ ფოთლებში, გაძარცული ხეების ტოტებქვეშ მარტოდმარტო ვიდექი და ვგრძნობდი, რომ ვარსებობდი რალაც დიდში და გაუგებარში.

როგორ ნათლად მახსოვს ის დღე! იქიდან ვიგონებ ყველაფერს; ვიგონებ ნათლად და არეულ-დარეულად, როგორც დაუსრულებელ სიზმარს.

ქალაქის ბარობაზე საკმაოდ დიდი ეზო გვექონდა. ჩემმა ხელმოკლე მშობლებმა ამ ეზოს შესაფერისი, მოზრდილი სახლი წამოიწყეს, რომლის მშენებლობა დღესაც არ დამთავრებულა, თუმცა მას შემდეგ ბარე ორმოცი წელი გასრულდა.

ბალავრიდან ამოხორავებული წითელი მინა ეყარა საძირკვლის გასწვრივ. ქვის კედელს აშენებდა წელში გახრილი კალატოზი. ერთი მუშა კირხსნარს დღევბავდა, მეორეს ხარაჩოსკენ მიჰქონდა. გახვრეტილი ვედროდან ცვიოდა დულაბი და ტყაპანით ეკვროდა ხარხასს. ეზოს კუთხეში ნატეხი ქვა და წითელი აგური ეწყო. გამოკოპიტებული ყურის ქვები წინ შუბლით და უკან კურტნით თავშექცევით იყვნენ დალაგებულნი. იმ დღეებში შემოზიდეს ნაბლის გამოსუკული მორებიც, ლეჩხუმიდან რომ ტივით ჩამოაცურეს ჯაჭვის ხიდამდე.

თავად ჩვენ საჯაიას ბინაში ვიდექით მდგმურად. საჯაიას ერთსართულიანი, ნახევრად ხის, ნახევრად ქვიტკირის სახლის კიბიდან იწყებოდა ჩვენი გრძელი ეზო და თავდებოდა ორი ქუჩის გასაყართან, სამხედრო გზაზე. საჯაიას ბინის ფანჯრიდან ჩანდა მშენებარე სახლი, ქუდებითა და თავებით გადახურული, ნაბლის მსხვილ დედოსვეტებზე ჩამოკიდებული, გამირებით განწყობილი ჭიშკარი, ტანაყრილი, ნორჩი კაკალი, სწრაფად, უჩვეულოდ რომ იზრდებოდა.

იმ წელიწადს, ჩემს მახსოვრობაში პირველად და უკანასკნელად, სიმინდი დაეთესათ ეზოში. ყანა იყო ატეხილი, აფუჩჩებულები, აყვითლებული. შუაში გადიოდა მობრეცილი ბილიკი. დღე იყო აუქმებული. ჭიშკარი ურდულგაყრილი, ხარაჩო მიტოვებული. მივდიოდი ბილიკზე, აყვითლებულ, ტაროატეხილ ყანაში, უცნაურ სითბოში და სიჩუმეში. ზევით ჩანდა ძალიან დიდი, ლურჯი ცა და ვიყავი მარტომდმარტო ამოდენა ცის ქვეშ.

მოგონებანი ფერმკრთალდება და ნაზდება დასასრულისაკენ. დასასრულის შეგრძნება დასაწყისთან გაახლოვებს უჩვეულოდ. დასაწყისი და დასასრული კი თანაბარი აჩქარებით მიისწრაფიან ერთმანეთისაკენ სიცოცხლის ერთ მონაკვეთში.

ფაფანაკიანი ბიჭი

ალექსანდრეს ყველაზე დიდი ურემი ჰქონდა ალბათ მთელს ქალაქში. ყველა ქალაქელ კამეჩზე ღონიერი კამეჩები ება შიგ. ავტომობილი ვერ დაიდებდა იმოდენა ტვირთსო, იხსენებენ ახლაც. ისე ლამაზად იყო ნაფერდებული ურემის ძარაში წითელი აგურები, რომ შეხედვა გაგებხარდებოდა.

ქედახეშემებული კამეჩები, ტურნებზე მოდებული თეთრი დუჟითა და მობრეცილი კისრით შემოაჭრიალებდნენ ურემს პატარა ბრეკზე, ჭიშკრის ნერჩიდან რომ იწყებოდა და თავდებოდა იქვე რამდენიმე ნაბიჯში. ურემის ერთ ჭილზე სასაპნე რქა ეკიდა, მეორეზე მათარა თუ ხაპი, უფრო ხაპი, ოხიმორას რომ ეძახდნენ ძველად. ოხიმორაში ღვინო ესხა. მიიყუდებდა იმ ოხიმორას დასიცხული ალექსანდრე და რამდენიმე ყლუპი სახარჯო ღვინით ჩაიგრილებდა გულ-მუცელს; შეისვენებდა, კვლავ მოყლურწავდა. სიარულის დროსაც კი სვამდა ხანდახან.

მუშა კაცი იყო ალექსანდრე. ჭამაც მადიანი იცოდა და სმაც. მიყურებია, როგორ სადილობდა იგი ჩვენსას. დიდი, მოუხეშავი თითებით რამდენიმე ლუკმაზე ათავებდა იჯრას. ლობიოში ამონებული ჭადის უზარმაზარ ნახეტს ფქვავდა უხმაუროდ რკინის ყბებში.

იმ ალექსანდრეს ჰყავდა ვაჟი, ჩემზე ორი ან სამი წლით უფროსი. სკოლას აცდენდა თუ არ ჰყავდათ მიბარებული, ვერ ვიტყვი. მამას დაყვებოდა მუდამ და კამეჩებსაც ის მიუძღვებოდა ზოგჯერ

სახრით ხელში. ყურიანი ნულები, წინდებში ჩატნეული შარვალი და გადაშვებული ხალათი ეცვა. თავზე ფაფანაკი თუ ფაფანაკის-მაგვარი ქუდი ეხურა. საქმიანი, შენუხებული სახე და რალაცნაირი გამოლენჩებული მზერა ჰქონდა. არაფერს რომ არ ვაკეთებდი, უკვირდა. უსაქმურ, ნებიერ ბავშვად მთვლიდა. თვალის დაუხამხამებლად მომჩერებოდა ხანდახან და იმ უაზრო ცნობისმოყვარეობის მიღმა რალაც გაუცნობიერებელი შური და სიძულვილი იყო დაფარული. არც სიტყვით, არც საქმით არაფერს მიშავებდა და მაინც მეშინოდა მისი, თუმცა არც შიშს ვამყლავნებდი, არც წყრომას და არც ურთიერთობას გაფურბოდი, რამდენადაც შესაძლებელი იყო.

ერთ მთვარიან ღამით, დაძინების წინ საწოლიდან წამოვდექი, აივანზე გავედი და სანამ ბირკვილს მივადგებოდი, აფრაკად დაგებული ფიცრებიდან დავინახე ალექსანდრეს ფაფანაკიანი, წინდებში ჩატნეულშარვლიანი ბიჭი. აივნის ქვეშ იდგა ხელსახრიანი, ერთ ალაგას უცნაურად გაშეშებული.

ვიყვირე. გამოცვივდნენ შეშინებული მშობლები. ალექსანდრეს ბიჭი (ალბათ სახელი ვთქვი. სახელი ახლა აღარ მახსოვს) არის ქვევით გაქვავებული-მეთქი.

ალექსანდრეს ბიჭს იქ რა უნდა ამ დროს. რა გააქვავებდაო?

გაქვავებულია, თუ გაშეშებული, რა ვიცი, ქვევით კი დგას, უფრო გაქვავებულია, შეიძლება გაშეშებული, ვიმეორებდი ცრემლების წმენდით და ამ სიტყვების აღარც აზრი მესმოდა, აღარც მნიშვნელობა, ჩემი განცხადების სიმართლეშიც გვარიანად ვიყავი შეეჭვებული.

ალბათ ჩემს დასამშვიდებლად, ანთებული ღამპით ჩავიდნენ ძირს.

კაბის კალთაზე ხელჩაკიდებული მივყვებოდი დედას და უკვე ვიცოდი, ქვევით რომ არავინ დამიხვდებოდა.

დამაწვინეს, დიდხანს არ დამეძინა. მესმოდა, როგორ ჩურჩულებდნენ მშობლები მეორე ოთახში მათი შვილის ნერვული ბუნების

გამო. ეგონათ, მეძინა და მაინც ხმადაბლა ლაპარაკობდნენ. ვის-მენდი ძალაუნებურად ამ ხმას და თვალებდაჭყეტილი ვუყურებდი საგანგებოდ ღიად დატოვებული განის კარიდან შემოსული შუქით კედლებზე გაჩენილ დეფორმირებულ ლანდებს და ვკრთოდი, ვწუხ-დი. ლანდების და ჩრდილების არ უნდა მშინებოდა, ვიცოდი და მაინც მეშინოდა.

დილით გაიგეს, ალექსანდრეს ბიჭი დახრჩობოდა წინა დლით რიონში, ბორანთან ახლო, იქ, სადაც ახალი ხიდი შენდებოდა იმ-ჟამად.

იმ დღის შემდეგ ალექსანდრე აღარ მინახავს.

ურმოზიაც მალე გადავარდა ჩვენს ქალაქში.

სადღაც მუსიკას უკრავენ

მზიანი, ქარიანი დღეა.

ქარი ხმელ ფოთლებს აფრიალებს. ხან ერთ კუთხეში მიყრის და მიხვეტავს ხმელ ნეშოს, ხან – მეორეში.

დავრბივარ ეზოში, ხმელ ფოთლებში, სიყვითლებში, მზიან ქარში. ვხედავ, როგორ გაიეღვებს და გადატყდება ჩემი ლანდი ხის ტანზე და ღობე-მესერზე. რა სჯობს მზეში, ქარში, ხმელ ფოთლებში უმისამართოდ, უმიზნოდ სირბილს. კარგია მარტოდმარტო სირბილი მზიან ქარში და დავრბივარ კიდეც.

შემოდო, მეძახიან, არ მესმის.

– შემოდი, თვარა ყური აგტკივდება ისევ!

– ამტკივდეს, თუ ამტკივდება!

დიდი საქმე, ყური თუ ამტკივდა. დავრბივარ ფოთლებში, ჩრდილებში, ქარში და მზეში. აღმა-დაღმა ქანაობს ტოტები ზედ შერჩენილი რამდენიმე ჯიუტი ფოთლისამარა.

შელამებულს, დანოლის წინ, რასაკვირველია, ყური ამტკივდა. ყურზე მადებენ ჭინჭში გახვეულ, გახურებულ მარილს. თავ-პირს მიხვევენ, მფუთნიან, არ მშველის. ყური მტკივა და მტკივა. გაბუმბულებულ, გამთბარ ბალიშს ვეხუტები, ვეფლობი. ასე გარედი და ჩაგეძინებო, მატყუებენ. არ მეძინება. ყური მტკივა. რა დამაძინებს.

– რომ იძახოდი, ამტკივდეს, თუ ამტკივდებაო, ახლა რა გატირებს! – მიჯავრდება დედა.